



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

„Maritime Training Centre Equator“, Ltd

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

აღწერილობა/კატალოგი

ბათუმი

2016

შპს „სსსც ეკვატორი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დაარსდა 2009 წელს. დაწესებულებას გააჩნია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 11 აგვისტოს №299 ბრძანების შესაბამისად გაცემული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, ასევე სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სათანადო აღიარება ძირითად საქმიანობასთან–მეზღვაურების მომზადებასა და გადამზადებასთან დაკავშირებით.

2010 წლიდან ცენტრში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001-2008 შესაბამისად და მას გააჩნია ISO–სა და ასევე IQnet – ის სერტიფიკატები.

2016 წლის 10 მარტს დაწესებულებამ წარმატებით გაიარა რესერტიფიკაცია და მესამე ვადით მოიპოვა ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი.

შპს „სსსც ეკვატორი“ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ასოცირებული წევრია.

2014 წლის აგვისტოში ცენტრმა წარმატებით გაიარა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაცია და მოიპოვა პროფესიული კოლეჯის სტატუსი.

ჩვენი მისია

ჩვენი მისიაა შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე მეზღვაურების მომზადება, მათი შემდგომი განათლების, კვალიფიკაციის ზრდისა და დასაქმებისათვის ხელშეწყობა.

ჩვენი მიზანია მისიის უზრუნველსაყოფად აქტიური თანამშრომლობა პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ წრესთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საკუთარი მისიიდან გამომდინარე დაწესებულება ახორციელებს **გემბანის მეზღვაურისა და სამანქანე განყოფილების მეზღვაურის III საფეხურის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. გარდა ამისა, გემზე დასაქმებულ ეკიპაჟს მუშაობა უხდება არაერთგვაროვან და სხვადასხვა ხასიათის საფრთხეებთან დაკავშირებულ, ექსტრემალურ პირობებში, რის გამოც ეკიპაჟის ყოველი წევრი მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად გაატაროს ღონისძიებები გემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის და შეასრულოს სამაშველო ოპერაციები ზღვაზე. გამომდინარე აქედან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას აპლიკანტმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც აქვთ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისი აღიარება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის შემთხვევაში აპლიკანტის უპირატესობა განისაზღვრება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ფარგლებში სასწავლო დისციპლინაში „გეოგრაფია“ მიღწეული შედეგებით.

აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სწავლის გაგრძელება უფრო მაღალ საფეხურზე (IV საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე (ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) შესაძლებელია მხოლოდ სრული ზოგადი განათლებისა და მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა ერთი სასწავლო წელია; სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.



გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 60 კრედიტია (1560 საათი) და მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტს:

- თეორიის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)
- პრაქტიკის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)

გემბანის მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება *გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია* და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

გემბანის მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 ივლისის N398 ბრძანებით დამტკიცებული გემბანის რიგითი მეზღვაურის (111051) პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას:

- საზღვაო სავაჭრო გემებზე;
- სამგზავრო გემებზე;
- ნავსადგურის სასამსახურო-დამხმარე ფლოტის გემებზე;
- თევზსაჭერი ფლოტის გემებზე და სხვა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

იცის:

- სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტები, პრინციპები, პროცესები და

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა/კატალოგი–2016

- ზოგადი კონცეფციები. ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის საფუძვლები;
- ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; რანჰოუტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის; გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები;
 - გემბანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; ნავიგაციის ძირითადი ტერმინები, ცნებები და განმარტებები; საჭის მართვის ბრძანებები და მათი დანიშნულებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე;
 - მოვალეობები დაკავშირებული დაკვირვების წარმოებასთან, მათ შორის ხმოვან სიგნალზე, შუქნიშანზე ან სხვა ობიექტზე წარმოებულ მიმართულებაზე გრადუსებში და მეოთხედებში; სანავიგაციო ვახტის გაწევის წესები; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ;
 - თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; ტვირთის მიღების, ჩაბარების, განათავსების და დამაგრების წესები; განგაშის ტიპების ჩამონათვალი; განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; მარკირების სახეები გემბანზე; ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; უსაფრთხო ვახტის გაწევის ნორმები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები;
- გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები; სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; გემის ვახტის გაწევის წესების დაცვა; საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებლის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს, ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით;
- განახორციელოს გემის მიბმის ოპერაციები, საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცედურები;
- მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები და გაასუფთაოს გემბანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ;
- უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის:
 - ✓ ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით;
 - ✓ ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო;
 - ✓ ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა.
- იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა/კატალოგი–2016

- განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები;
- განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში;
- თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი;
- საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება.

კომუნიკაციის უნარი

აქვს:

- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით.

შეუძლია:

- განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადეკვატურად მოქმედება;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალიზაციის ეფექტურად გამოყენება; ინტერნეტ-რესურსებით კონტაქტების დამყარება, ინფორმაციის მოძიება და გაცვლა.

სწავლის უნარი

- შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება
- კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.

ღირებულებები

მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა/კატალოგი–2016

ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება.



სამანქანე განყოფილების მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

სამანქანე განყოფილების მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 60 კრედიტია (1560 საათი) და მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტს:

- თეორიის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)
- პრაქტიკის კომპონენტი - 30 კრედიტი (780 საათი)

სამანქანე განყოფილების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება *სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია* და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

III საფეხურის სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთშორისო სტანდარტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 24 აგვისტოს N266 ბრძანებით დამტკიცებული სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის (111052) პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დასაქმებას:

- საზღვაო სავაჭრო გემებზე;
- სამგზავრო გემებზე;
- ნავსადგურის სასამსახურო-დამხმარე ფლოტის გემებზე;
- თევზსაჭერი ფლოტის გემებზე და სხვა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

იცის:

- ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის საფუძვლები;
 - ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ;
 - ზოგადი ცნებები გემის შიგაწვის ძრავებში მიმდინარე პროცესების შესახებ.
 - ძრავების აგებულება, მათი მოქმედების პრინციპები, მომსახურე სისტემები;
 - გემის ქვაბების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები;
 - გემის სისტემებისა და მექანიზმების ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია;
 - გემის შიგაწვის ძრავების ექსპლუატაციის წესები;
 - ვახტის გაწევის წესები სამანქანე განყოფილებაში;
 - მთავარი ძრავის, დამხმარე დიზელ-გენერატორის და დამხმარე მექანიზმების გაუმართავი მუშაობის ნიშნები და მიზეზები;
 - გემის ტუმბოების, კომპრესორების, სეპარატორების და საჭის მანქანის აგებულება და მომსახურე სისტემები;
 - ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები;
 - გემის მექანიზმების, სისტემების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი მასალები;
 - გემის მილგაყვანილობების მარკირება და დანიშნულება;
 - უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები სამანქანე განყოფილებაში სამუშაოდ;
 - მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები სამანქანე განყოფილებაში;
 - ავარიული აღჭურვილობის გამოყენება და მოქმედებები ავარიული სიტუაციების შემთხვევაში;
 - ნარჩენების უტილიზაციის ნებადართული წესები;
- ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
- გაწიოს ვახტა სამანქანე განყოფილებაში;
- მოამზადოს მუშა პროცესისათვის ენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სისტემები;
- განახორციელოს სამანქანე განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება;
- შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგამის ყველა სახეობის ადეკვატურად, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ შორის:
 - ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით;
 - ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა/კატალოგი–2016

- ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა;
- თავისი კომპეტენციების ფარგლებში:
 - გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძერსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება;
 - პირველადი აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;
 - იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით ისარგებლოს.
- საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებების, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სავახტო მექანიკოსის ინფორმირება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება;
- გუნდური მუშაობა ეფექტური სამუშაო ურთიერთობების დამყარება კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან;

აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით;

ვახტის გაწევის პროცესში, ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს ადეკვატურად აღიქვამს ბრძანებებს და შესწევს უნარი გასცეს მოტივირებული და დასაბუთებული პასუხი.

სწავლის უნარი

შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება - კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.

ღირებულებები

მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.



პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა შესაბამისია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა”, რომელიც უშვებს შემდეგი სახის შეფასებებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასება კონკრეტულ მოდულში/სასწავლო კურსში ჩაითვლება დადებითად, თუ მისი ჯამური შეფასება იქნება არანაკლებ 51 ქულა.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა/კატალოგი–2016

პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა წარმოებს კომისიასთან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის ბრძანებით. საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მიმართულების პედაგოგი, მოწვეული სპეციალისტი, დარგის ექსპერტი, დამსაქმებელი ან ცენტრის ადმინტრაციის წარმომადგენელი.



საწვრთნელი ცენტრი

საწვრთნელი ცენტრი უზრუნველყოფს მოქმედი ქართველი და უცხოელი მეზღვაურების გადამზადებასა და სერტიფიცირებას შემდეგი მოდელური კურსებისა და არაკონვენციური კურსების

მიხედვით– [სასერტიფიკატო კურსები](#)

შპს „სსსც ეკვატორის“ ყველა პროგრამა, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათში შეტანილი ცვლილებები ექვემდებარება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან შეთანხმებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის და კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ შპს „სსსც ეკვატორის“ პროფესიული განათლების განყოფილებას ან/და საწვრთნელ ცენტრს.

პროფესიული განათლების განყოფილების უფროსი: ნესტან ბოლქვაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 0 422 22 16 16; 599 49 11 33

საწვრთნელი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ინდირა ვარშანიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 0 422 22 26 26; 557 91 04 24